

წერეთელმა გაზეთ „კვალს“ რედაქციის ოთახიკ კი დაუთმო. მშრომელი ხალხის, თავისი ქვეყნისა და ხელოვნების უსაზღვრო სიყვარულის გიჟიზმით ანთებულნი სძლევდნენ ყოველგვარ გაკირვებას, საკუთარი სახლიდან მოქაჩნდათ რეკვიზიტები, ტანსაცმელი, ყოველი მათგანი უყოყმანოდ ასრულებდა გრიმითრის, დეკორატორის მოვალეობას. ხშირად საკუთარი სახსრებითაც ეხმარებოდნენ თეატრს. ყოველი ქართველი ინტელგენტი აქტიურად მონაწილეობდა სახალხო თეატრის მუშაობაში.

სახალხო თეატრის მსახიობებს მხარში ამოუდგნენ ქართული სცენის პროფესიონალი ოსტატები: ნ. გაბუნია, მ. საფაროვა-აბაშიძისა, ელ. ჩერჭეზიშვილი, ელ. ანდრონიკაშვილი, ნ. დავითაშვილი, ც. ამირჯიბი, ვ. აბაშიძე, ს. სემონიძე, გ. არაღვლენიშვილი, ი. ვივიძე, ელ. ადამიძე და სხვ., რომელნიც, გარდა სახალხო თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობისა, სასცენო ხელოვნების დაუფლებამაიც ეხმარებოდნენ მუშა-მსახიობებს.

თეატრის რეპერტუარი ძირითადად სოციალური შინაარსის პიესებიდან შედგებოდა. მუშა-მაყურებელს ძალიან მოსწონდა ამ თეატრში დადგმული ალ. ყაზბეგის „არსენა“, ა. ცაგარელის „რაც ვინახავს, ვეღარ ნახავ“ და „ციმბირელი“, ა. ფურცელაძის „აეზნაკები“, ნ. აბიანის „ფული და ხარისხი“, გ. სუნდუკიანის „პეპო“. მაყურებელს იტაცებდა აგრეთვე შილერის, მოლიერის, ჰაუპტმანის, გოგის, ანდრეევის, ოსტროვსკის, ისენისა და სხვათა პიესები.

სახალხო თეატრის ჰქონდა აგრეთვე საკონცერტო განყოფილება. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. ჯაბაური ამის შესახებ ასე დამოკვეთს:

„გმართავდით საკონცერტო განყოფილებას, გამორიოდნენ მუშა-მწერლები: გიგო ზეჩუაშვილი, შაქრო ნათელუელი, ნიკო იტრიევი, გიორგი შინატეხელი და სხვ. თანდათანობით ჩვენს წარმოდგენებს სისტემატური ხასიათი მიეცა. 16 წლის განმავლობაში ავქალის აუდიტორიაში ვდგამდით რევოლუციურ პიესებს, კეთილშობილდით ასეთსავე ხასიათის ლექსებს. შემდეგ დამთავრდა ზუბალაშვილების თეატრის მშენებლობა. მას დაერქვა სახალხო სახლი (ახლა მარჯანიშვილის თეატრი). წარმოდგენების გასამართავად ორი დღე დაგვიტოვეს. 1909 წლის 4 აპრილს ამ კარგად მოწყობილი თეატრის კარები პირველად ჩვენ შევაღეთ, დავდგით გოგოლის „რევიზორი“. პრესამ წარმოდგენას მაღალი შეფასება მისცა.“

უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო თეატრის წარმატებით აღფრთოვანებული იყო დიდი თეატრალური მოღვაწე, სახელგანთქმული მსახიობი და დრამატურგი ა. სუშმათაშვილი. როდესაც იგი საქართველოს ეწვია, სახალხო სახლიდან არსებულმა ქართული დრამის გამგეობამ საგანგებოდ მიიწვია მისადმი გამართულ საღამოზე. ა. სუშმათაშვილი დიდად ნასიამოვნები დარჩა ქართული დასის გაცნობით. მან რუსულ ჟურნალ „მსახიობთა დღეში“ გამოაქვეყნა წერილი, საღაც ნათქვამია:

„მდიდარი შინაარსი და ლამაზი ბგერითი ენა, ბუნებრივი გრაცია და პლასტიურობა, დიდი ტემპერამენტით აღესილი მეტყველება — ყოველივე ეს ჩვენს თეატრს დიდ მომავალს უქადის.

მე მომეცა საშუალება პირადად დაერწმუნებოყყო ზემონთქაჰმის სინამდვილეში.

რამდენიმე წლის განმავლობაში რა გიგანტური ნაბოჯით წასულა წინ ჩვენი თეატრი!..

ყველაფერი ეს იძლევა საბუთს დანამდილებით ეიწინასწარმეტყველო, რომ ქართული სცენა ძალიან ჩქარა მიიპყრობს მთელი ქვეყნის ყურადღებას და ფართოდ გაშლის თავის სამოქმედო ასპარეზს... ის, რაც გავითვლია იძლევა ფაქტორს საფუძველს ამ პროგნოზისათვის“ (სახალხო თეატრი, 1924 წ., გვ. 50).

ავქალის აუდიტორიის ქართულ სახალხო თეატრს წინ მრავალი დაბრკოლება ელოდებოდა. პირველყოფილისა, მისი დაუძინებელი მტრები იყვნენ პოლიცია და მეფის ცენზურა, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რომ ეს თეატრი არსებითად რევოლუციური მოძრაობის კერას წარმოადგენდა.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო თბილისის სახალხო თეატრის მოღვაწეობა 1900 წლიდან. თუ 90-იან წლებში თეატრი ყოველწლიურად 5-6 წარმოდგენას მართავდა. 1900 წლიდან მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

სახალხო თეატრმა, რომელიც ჯერ ავქალის აუდიტორიად იწოდებოდა, ხოლო შემდეგ კი ზუბალაშვილის სახალხო თეატრად, 1924 წლამდე იარსება.

ასე წარმოიშვა და განვითარდა მუშათა მოძრაობის ნიადაგზე ქართული თეატრის ახალი ნაედი — სახალხო თეატრი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მუშათა კლასის გათვითცნობიერებასა და რევოლუციური თვითშეგნების ამაღლების საქმეში.

ამთა ალანია

